სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სთ.-აზნაურთ ქარვასლა
...ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე... შემპირიაველ რედაქციას დილის ...-3 საათამდე და საღამოს 6—1 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას ...-მოწერაც წერილებს რე... ...ა არ ბეჭდავს.
...ირ მოლაპარაკება რედაქ...ორთან შეიძლება ყოველ დღე. ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 3 მან. 50 კაპ.

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!
ახლად გაგსნილი ქართველ მგზავრთათვის
მორთული ოთახები
„აზაშა"
ტფილისში მეორე მოლაკნის ქუჩაზე, მჭედლიძის სახლებში

ეს მორთული ოთახები მართლაც და მომარჯვებულს და მოხერხებულს ადგილას არის მგზავრებისათვის; ტფილისის ვოგზალის მახლობლად და სწორედ კარებზე უვლის აგზალის კონკა.

ოთახები საგანგებოდ და საუცხოვოდ არის მორთული და თან სუფთა, წმინდა და სინათლიანი. მოსამსახურე თავაზიანი და ...

ფასი სამაგალითოდ იაფია
50 კაპიკიდან 1 მან. 50 კაპიკ. დღეში თვეობით უფრო იაფი.
დავშთები მარად პატივცემული ნიკო თოფურია. (10—8)

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

!!მიაქციეთ ყურადღება!!
ჩინეთის მაღაზია
დ. ფ. დემენტიევისა
გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.
იმპერთ ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა
მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი
ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით
ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საპირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას
საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი
იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნიშანთებისათვის
მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში
!!მიაქციეთ ყურადღება!! (100—42)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და ... თვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

*** კრება დრამატიულ საზოგადოებისა. დღეს საღამოს 8 საათზე ქართულ თეატრში დრამატიულ საზოგადოებისგან მოწვეულია კერძო კრება, რომელზედაც ლაპარაკი იქნება თუ როგორ უნდა მოეწყოს დამდეგ სეზონისათვის ქართული წარმოდგენები და საზოგადოდ ვინ უნდა აწარმოვოს თეატრის საქმე საზოგადოების გამგეობამ, კერძო ამხანაგობამ თუ არტისტებმა ან ვინმე ანტრეპრენიორმა. ამას გარდა სჯა და ბაასი ექნებათ, თუ რა ღონისძიებით და რა საშუალებით უნდა გაძლიერდეს ებლანდელი დასი, რომელშიაც მოთამაშე ქალები სრულებით არავინ არის გარდა ელისაბედ ჩერქეზიშვილისა და ორიოდე ახალგაზრდა მოთამაშეთა. ყველა ესა და კიდევ სხვა კითხვებიც იქნება აღძრული ამ კერძო სხდომაზე. ეჭვი არ არის, დრამ. საზოგადოების წევრნი, რომელნიც გულმხურვალეთ ეკიდებიან ქართულ თეატრს დაესწრებიან ამ კრებას და მით ხელს შეუწყობენ გამგეობას.

*** თავ. კოწია დადეშქელიანის და ნიკო ფაღავას საქმე. ამ წლის 13 აპრილის აღდგომის წინა კვირას ქ. ქუთაისში თურმე ქეიფობდნენ თავ. კოწია დადეშქელიანი, მთავარი კონსტანტინეს შვილი, თ. ალექსანდრე შერვაშიძე და ნიკო ფაღავა. ქეიფის შემდეგ ღვინით გაუმაწყვილები შეცვინულან აბანოში და იქ ქალები დაუფეთიანებიათ. ამ ხანობაში პოლიცია და ბოქაული არსენიევი მისულა ოქმის შესადგენად, მაგრამ დადეშქელიანს და ფაღავას შეურაცხყოფა მიუყენებიათ და მუჯლუგუნები წაუკრავთ ბოქაულისათვის. ამის გამო შესდგა საქმე ამ თვის 21 და 22 როგორც „ნოვ. ობ." იუწყება, ქუთაისის საოლქო სასამართლო არჩევდა ამ საქმეს თავ. კ. დადეშქელიანს იცავდა ნაფიცი ვექილი ტერ-სტეფანოვი და ნ. ფაღავას ნაფიცი ვექილი მექი ფაღავა. სასამართლომ ორივე ბრალდებულისათვის მიუსაჯავს: ჩამოართვან ყოველივე ღირსება და გაგზავნილ იქმნან ტომსკის გუბერნიაში.

*** ქალაქის თავი ბ-ნი ევანგულოვი ორის თვით დათხოვნილ იქმნა საზღვარ-გარედ, ხოლო ქალაქის თავის გამგეობას გასწევს წევრი გამგეობისა ბ-ნი შესტაკოვი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი მასტიცკი ორის თვით დათხოვნილ იქმნა, ხოლო მის თანამდებობას შეასრულებს მისივე თანაშემწე ბ-ნი კაველიოვი, ხოლო ამ უკანასკნელის თანამდებობას ბოქაული თავ. სიდამონ ერისთავი.

*** მუცლის ტკივილი ბავშვებს შორის ტფილისში. ზაფხულის სიცხეების გამო ტფილისში ძრიელ გახშირდა ბავშვებთა შორის მუცლის ტკივილი.

*** ქართული სახალხო წარმოდგენა ნაძალადევში. თითქმის ერთი წელიწადი გადის მას აქეთ, რაც ნაძალადევში ქართული წარმოდგენა არ ყოფილა; თუმცა წარმოდ...ენი ...დგილი და

სცენა დიდი ხანია გაკეთებული არის. ეხლა, როგორც გავიგეთ, ავჭალის სახალხო თეატრის კომისიას განუზრახავს გადმოიტანოს საზაფხულო სეზონი ნაძალადევში, რადგანაც ავჭალის თეატრში ძლიერ ცხელა. სცენა და ყველა ფერი რაც რამ იყო გაფუჭებული შეაკეთებინეს და კვირას 27 ივნის გამართული იქნება პირველი წარმოდგენა. ითამაშებენ, როგორც ამბობენ ა. ცაგარლისა სამს მოქმედებიან კომედიას „ხანუმას“.

*** **გორის ჯვრის ტაძარი.** ქალაქ გორის სამხრეთით, მტკვრის გაღმა გაწოლილია მთა, რომელსაც ეწოდება „გორი ჯვრის მთა!! ამ მთის წვერზედ აშენებულია ტაძარი წმიდა ძლევამოსილი გიორგისა, რომელშიაც !ვენებულა პატიოსანი წმიდა გიორგის ნაწილებიანი ჯვარი, რისთვისაც მას გორის ჯვრის ტაძრად უწოდებენ, თუმცაღა ეხლა ეს ჯვარი ოთარშნის პატარა ეკკლესიაში ასვენია. ეს ტაძარი ძველის ძველადვე ყოფილა აშენებული, ხოლო ცოტა ხნის წინედ მის გვერდით, ორ ნაბიჯის მოშორებით აუშენებიათ მეორე უფრო მოზრდილი ტაძარი ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის სახელობაზედ. ორთავე ტაძრების გარშემო აშენებულია სახლები, რაშიც მლოცავნი ღამეს ათევენ ხოლმე. საყდრებს და სახლებს ირგვლივ ქვით კირის ზღუდე არტყიათ. წმიდა გიორგის ტაძარი შიგნით დაძაბუნებულია, კედლებზედ ხატები აღარ ეტყობა, ერთი სიტყვით, განახლებას უცდის. გარედგან კი თეთრად გალესილია, მამა დავითის (გორი ჯვრის მღვდელია) შრომით ამ წლის განმავლობაში ტაძრისთვის ქესტი დაუხურნიათ. გორის ჯვრის სალოცავად ყოველ ქართლის კუთხეებიდგან მიდიან განუწყვეტლივ... გორის ჯვრის მთის კალთაზედ აშენებულია ნიში წმიდა გიორგისა. ეს ნიში სწორედ შარაგზის პირზეა აშენებული, რისთვისაც ყოველ გამვლელ-გამომვლელთ არა თუ ღვთის მოყვარე, არამედ ცნობის მოყვარეც კი მაღის და ნიშს ათვალიერებს. ზოგნი მათგანი შეძლებისა დაგვარად ფულსაც სწირავს: ყოველ დღეზე შუა რიცხვით აქ იწირება 8—10 მდინ. მერე ეს ფული ვის სასარგებლოდ იხარჯება— ღვდლის თუ ეკკლესიისა? არც ერთი—მე მოგახსენებთ, ეს ფული სულ გრყვნილ ხალხისაგან იხარჯება. ეს უსვინიდისო იუდანი, როცა კი იდროვებენ მსუნაგ კატებივით შიიპარებიან ფულის მოსაპარ[...] რ[...] პირველი ყველა მათგანი, იმასა ცდილობს რომ სხვამ არავინ მიასწროს და შეწირული ფული სრულიად თვით იგდოს ხელში. აქამდის ამ ნიშის გვერდზედ ქვის დიდი ყულაბა იდგა; მაგრამ იგი აწ გადატანილია ახალ გაკეთებულ ნიშთან. კი ნუ იფიქრებთ, რომ ეს ყულაბა ყურადღებით იქმნა გადატანილი. არა, მისთვის გადიტანეს, რომ თვით იმ ყულაბიდგანაც ბოროტ გამზრახველნი ხერხითა და ეშმაკობით უკანასკნელ წვლილამდის იღებდნენ. ერთხელ მნათემ ბაასის დროს სხვათა შორის აი რა მითხრა. შვილო, არა ერთ გზის ჩამიტანია და დამისვენებია ნიშში ხატიო, მაგრამ რამდენიმე დღის უკან ან იქ აღარ „დამხვედრია“ სასურველია, ამ სარწმუნოების დაუდევრობას ყურადღება მიექცეს.

მორჩილი დავით ბეგაური

*** **ს. ბანოჯა** (ქუთ. მაზრა). აქაური ამბები. ს. ბანოჯა ქვიტირის საზოგადოების ერთ-ერთ სოფელთაგანია. ამ სოფელში ითვლება 200-მდე გლეხი, ჩვენდა სამწუხაროდ ამ სოფლისათვის ძლიერ მცირე ყურადღება მიუქცევიათ ჩვენი საზოგადოების მამასახლისებს. მთელ სოფელში ერთი ხეირიანი გზა არ მოიძებნება, კარგ ამინდში კიდევ შეგიძლიანთ აქაურ გზებზე სიარული, მაგრამ თუ ცუდი ამინდია, მაშინ ღმერთმა გამოროთ ამ გზებზე გავლა. სწავლა-განათლების მხრითაც ეს სოფელი ჩამორჩენილია სხვა სოფლებს. მართალია აქ ეს რამდენიმე წელიწადი იქნება არსებობს სამრევლო სკოლა (თუმცა არ არსებობს რომ გვეთქვა სჯობდა), მაგრამ რა! საუბედუროთ მას სოფლისათვის ძალიან მცირე ნაყოფი გამოუღია. არც ერთ წელიწადს მასწავლებელს საკმაო რიცხვი მოსწავლეთა არა ჰყოლია, თუ დღემდის ახლად არჩეულ ქვიტირის საზოგადოების მამასახლისის სულაკაძის მოადგილეებთ ნაკლები ზრუნვა და სამსახური გაუწევიათ ხსენებულ სოფლისათვის, სამაგიეროთ ბ. სულაკაძე სრულიათ სხვა გზას დადგომია, როგორცა სჩანს მას—სულაკაძეს სურს ეკონომიურათ და სწავლა-განათლების მხრითაც დაქვეითებული სოფელი წინ წასწიოს. 20 ამთვეს მამასახლისი სულაკაძის მეთაურობით ს. ბანოჯაში მოხდა ყრილობა, სადაც ხალხმა ერთხმათ გადასწყვიტა დაარსება ს. ბანოჯაში ერთკლასიანი სამინისტრო სკოლისა. ამ საგანზე იმავე დღეს განაჩენი დაადგინეს და წარუდგინეს სადაც ჯერ არს, ამ განაჩენით სოფელი სთხოვს უმაღლეს მთავრობას ყოველ წლობით ოც და ხუთ თუმანს მასწავლებლის ჯამაგირათ, მხოლოთ დანარჩენ ხარჯს თვით სოფელი კისრულობს. სასურველია ეს საქმე კეთილად დაგვირგვინებულიყოს. მადლობის ღირსია მამასახლისი სულაკაძე ამ კეთილი საქმის დაწყებისათვის. იმედია ბ. სულაკაძე არ მოაკლებს სოფელს ზრუნვას და მეცადინეობას. მათი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის არ შემიძლიან აქ გვერდი აუარო შემდეგ გარემოებას: ს. შუა ქვიტირში (ქვიტირის საზოგადოებაშია) ეს მესამე წელიწადი იქნება არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა. ეს სკოლა დაარსებისთანავე თხოულობდა ორ მასწავლებელს, ვინაიდგან მოსწავლეთა რიცხვი პირველ წელსავე ას-ოცს აღემატებოდა, ზემოხსენებული რიცხვი მოსწავლეთა ყოველ წლობით იყო და არის ხსენებულ სკოლაში. აბა ეხლა წარმოიდგინეთ, თუ შესაძლოა, ერთმა მასწავლებელმა ამდენს ბავშვს მოუაროს. ჩვენდა საბედნიეროდ ჩვენში ხალხს საკმაოდ შეგნებული აქვთ სწავლა განათლების მნიშვნელობა, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ თავობა არის საჭირო, თუ მამასახლისი სულაკაძე კეთილ ინებებს და მეორე მასწავლებლის მოწვევის შესახებ ყრილობას მოახდენს, მესრული დარწმუნებული ვარ საზოგადოება ამ საქმეს სოფლის თახაგოძ[...] შეხვდება.

კოწია პეიშვილი

*** **ს. ახალ-უბანი** (ქართლი). ქურდობა. ამას წინად შუაღამისას ერთ ოსს 2 ხარი მოეპარნა ახალ-უბანში და მიჰყავდა; ამ დროს გზაში შეხვედროდა ზ—რა ც—შვილი და დაეძახნა ოსისთვის, „ვისია ე ხარები“ „სენი წირიმე, ნათლია ცემმა გათხოვე და წამოიყვანე“... ვინ არის შენი ნათლიაო და კეტს წამოავლო თურმე ხელი. ეს დაენახა თუ არა, ოსს მაშინვე თავისთვის ეშველნა და სადღაც გადაკარგულიყო. ზ. ც—ლმა კი ხარები გამოირეკა და შინ წამოასხა (პატრონისას). ამ გვარი ქურდობა პირველი არ არის, არამედ ბევრჯელ მომხდარა და ბევრჯელ გაუპარებიათ კიდეც რომ ვერავის უპოვნია იმის ასავალ დასავალი. საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

# თეატრის მატიანე

**თელავი.** ქართული წარმოდგენა. კვირას, 20 ივნისს, საქ. მოქ. მამ. თეატრში წარმოდგენა იყო დანიშნული, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ცნობილი არტისტები ბ-ნი გამყრელი-

[illegible]
ორი პიესა: პირველი „ქუნწ[...]
კომ 2 მოქ. გ. ერისთავისა [...]
მეორე ახალი პიესა „გულ-მავიწ[...]
ნი“ კომ. 1 მოქ. როგორც პი[...]
ველმა, აგრეთვე მეორემაც [...]
ნად ჩაიარა; როლები ყვე[...]
გათა ჰქონდათ შესწავლ[...]
მიხვრა მოხვრაც შესაფერი ჰქო[...]
დათ. კარაპეტ დაბალოვის როლ[...]
ასრულებდა ბ. აწყურელი და [...]
რაღა თქმა უნდა, რომ საუცხოვ[...]
შეასრულა და საზოგადოებაც ბ[...]
რი აცინა, ნამეტნავად მეორე მ[...]
ქმედებაში. ხამფერა ამისი ქალი[...]
ქ. იაშვილისამ კარგად ითამაშ[...]
მხოლოდ ხმა აქვს მოუხრელი [...]
ამისათვის ისე ლაპარაკობს, რ[...]
გეგონებათ ჩხუბობსო. არჩილ[...]
ბ. აჯიმამუდოვს და ივანიკა, [...]
ჯამაგირე—ბ. ჩელიძეს არა უჭი[...]
დათ რა. მეორე პიესამ „გულ-მა[...]
წყნი“ აგრეთვე კარგად ჩაიარა; მ[...]
ქმედნი პირნი როგორც სხვა [...]
მისოდაც ეხლაც ირჩეოდნენ ბბ.[...]
გამყრელიძე და აწყურელი. რ[...]
გქნაც ეს ახალი პიესაა და საზ[...]
გადოებას ნაკლებად ექნება გ[...]
ნობილი, ამიტომ ჩვენის აზრ[...]
ურიგო არ იქნება გავაცნო მკ[...]
ხველს ამისი შინაარსი: ორნი ს[...]
სახურიდგან დათხოვნილები გე[...]
რალი და პოლკოვნიკი არი[...]
პოლკოვნიკი უფრო შეძლებე[...]
და ჰყავს ერთი გასათხოვარი [...]
ლი, რომელსაც ურიგებს ერთ მ[...]
დარ კაცს, რომელიც სიბერის [...]
მო მომკვდარა და პოლკოვნ[...]
დაჰვიწყებია. გენერალი კი შე[...]
ლებელია, სახლი, რომელიც ტო[...]
ში გაყიდულა პოლკოვნიკს უტო[...]
გნია, ამასაც ჰყავს ერთი ვაჟიშ[...]
ლი, რომელსაც ურიგებს ერთ მ[...]
დარ ბებერ ქალს და ისიც მომ[...]
დარა, მაგრამ ვენერალს დაჰვიწ[...]
ბია. პოლკოვნიკის ქალი გენ[...]
ლის შვილს რომ ელაპირაკება [...]
ვის სახლში, ამ დროს შემო[...]
გენერალი, იმას თავისი სახ[...]
ჰგონია და რა დაინახავს ამათ [...]
ლიან გაჯავრდება, რომ ჩემს სახ[...]
ში ეს რა ამბავი ხდებაო და ო[...]
ვეს დაამწყვდევს. შეცდომით დ[...]
კეტავს კარებს და გასაღებს ჯ[...]
ში ჩაიდებს; იხდის მუნდირს [...]
იცვამს პოლკოვნიკის დილის [...]
ლათს. მერე შემოდის პოლკოვ[...]
კი, იხდის სერთუკს და იცვამს [...]
ნერლის მუნდირს, ჯერ ვერა [...]
დამს და იძახის თავისთვის, [...]
სად დაიგვიანა გენერალმა ვალი [...]
და გადაეხადნაო, უცბად დაინახ[...]
გენერალს და ეტყვის. თქვენ [...]
დეც მოჰბრძანებულხართ და [...]
წყებენ ლაპარაკს. გენერალი, [...]
სუფლად ლაპარაკობს. პოლკ[...]
ნიკი შენიშვნას აძლევს, გენე[...]
რალი ამბობს, რომ მე ე[...]
ვისუფლობა მიყვარს როცა შ[...]

...პოლკოვნიკის სახლია, მაგ... მას ჰგონია გენერლისაო და ...ვის ბოდიშს იხდის. მერე ... ჩამოაგდებენ ლაპარაკს, გე... ...ლი მიდის ფულის მოსატანად ...კოვნიკის სერთუკი ჩაიცა და ...კიდევ თამასუქი იდო. პატა... ...ანს უკან ისევ მოდის და ეუ... ...რომ თქვენი ვალი გარდახ... ...ა, ვექსილიც დახსნილი მქო... ...მოილებს და უჩვენებს. მერე ...ვდეულებს გაანთავისუფლე... ...გენერლის შვილი პოლკოვ... ...სთხოვს, რომ ნება მომეცი ...ს ქალს ხელი ვსთხოვოო, პოლ... ...ნიკი უპასუხებს, რომ ჩემს ქალს ... ვნიშნამ. ამ დროს ქალი ...ნებს, რომ ის მოძავდარაო. ...ვნიკსაც მოაგონდება და ნე... ...რ აძლევს, რადგანაც სხვას ...ებს, მაგრამ იმას კიდევ შვი... ...მოაგონებს, რომ ის ქალიც ...ვდარაო და ამის შემდეგ გე... ...ლიც ნებას აძლევს. პოლკოვ... და გენერალი ჰკოცნიან შვი... და ჰლოცამენ და მერე სი... ...ბი ეხვევი-ნ ერთმანეთს. წარ... ...ენას ნაკლები ხალხი დაესწ... ...ბილეთები მომეტებულ ნაწი... ...უკანა რიგისა გაიყიდა და ...რიგისა კი ნაკლებად მიუ... ...დ იმისა, რომ ბილეთები 1 მ. ... იყო, წარმოდგენა დაიწყო ...და გათავდა $11^1/_2$ საათზე.

თ—ი.

## ...ურნიკური საუბარი

...რას *) თავის მამულში ჩრდილ... ...დიოს, იდლიაში ბური ამოუჩრია ...ტრის სთლის. დობეს გარედ გა... ...ა იმავე სოფლის გლეხმა და შე... ...ა გორიას: მოიტა გორი, ცოტა ...ო მამიჭერით.

— კიტრის გაითხნასა და მორწყვა... ...დის მამულე, რომ გაჭამოვო! ...ებმა, რომ თოხის ტარით კინა... ...ავი გამიტეხეს, შენ რადის მო... ...ლეო!

— ეჰ! შენ კი არა სცხონდები რადა!!
— მოიტა შენ ხელწერილი მომე, ...უშველად ვცხონდები და გინდა ...კიტრს მოგიწყვეტავო, — მიუგო ...ვა-მოსწრებულმა გორიამ.

*
* *

— გორიჯ ...ბეგრს ბურს ნე სჭამ, ...მ გაწვენს ცარიელი ბური, ისიც ...ტებული, კუჭისათვის ძნელი მო... ...ლია, უთხრა ერთმა დიაკვნის ...მა.

— მართლა მაწყინარია?
— მართლა მაშ!
— მაშ, მამაშენს რაზე აკვლევინებ... ...ნს სამრევლოდან ბურის ზიდვით? ... გაკვირვებით გორიამ.

*) ...აგურიაა მეტი სახელია სოფლელის ...უმარა გლეხისა.

# სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

ადვავიტის რიგზედ ვარდის სახელება, რომლებიც გამოსადეგნი არიან ადრეულად გამრავლებისათვის (для ранней выгонки).

| № | ვარდების სახელები. | წელიწადი მოშენებისა. | თვე ყვავილისა. |
|---|---|---|---|
| 219 | ტ. მელანი ოგერ. | 1851 | მარ. |
| 220 | ტ. „ ვინერმთა | 1849 | თებ. |
| 221 | რ. მერველ დე ლიონ | 1882 | მარ. |
| 222 | ბ. მისტრის ბოზანკე | 1852 | იან. |
| 223 | რ. „ ლენგ. | 1854 | აპრ. |
| 224 | ტ. „ ფიურტადო | 1866 | „ |
| 225 | ტ. მ. ჟ. ი ტეა | 1875 | მარ. |
| 226 | რ მონსიე კორდიე | 1856 | „ |
| 227 | რ. მოსიე ჟანიო. | 1858 | „ |
| 228 | რ. „ ეჟენ ტრანსონ | 1852 | „ |
| 229 | რ „ ბონჩენ | 1864 | მაი |
| 230 | ბ. მოდელ დე პერფექსიონ | 1861 | იან |
| 231 | რ. მუსკოზა | — | აპრ. |
| 232 | ტ. ნეფეტოს. | 1843 | იან. |
| 233 | ტ. ნარცის | 1846 | მარ |
| 234 | ტ. ოლიმპ ფრესინაი. | 1860 | „ |
| 235 | ბ პოლ რიგო | 1865 | „ |
| 236 | რ. პოლ ნერონ | 1869 | აპრ. |
| 237 | რ. პოლ დე ლა მელერაი | 1859 | „ |
| 238 | ბ პაკერეტ | 1875 | „ |
| 239 | რ. პავილიონ დე პრინი | 1863 | „ |
| 240 | რ. პან კონკი | — | იან. |
| 241 | რ. პერი დე პერ ნეარ. | 1856 | მაი |
| 242 | ბ. პაკსტონ | 1852 | „ |
| 243 | ს. პ...ლ დე პახამე | 1845 | „ |
| 244 | დუპეო ხერს. იღდოვ | 1833 | „ |
| 245 | ტ. პერფექციონ დე მონპლეზირ | 1872 | მარ |
| 246 | ტ პერლ დე ლიონ | 1872 | თებ. |
| 247 | ტ. პერლ დე ჟარდენ | 1874 | „ |
| 248 | ტ პერლ დე ბლანმ | 1872 | მარ |
| 249 | ს. პეტი დე გოლლანდ | 1859 | „ |
| 250 | ბ. პემილა ალბა | 1868 | „ |
| 251 | რ. პიერ გილიო | 1859 | „ |

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## ოჯახში გამოსადეგი ცნობა

ფეხის ოფლი. ყველამ ვიცით, რომ ხშირად, უფრო ზაფხულობით (ზამთრობითაც კი) იტანჯებიან ბევრნი ფეხის ოფლისაგან, რისგანაც ფეხები ითუთქება, ეჭელება თითები, წვა მოსდის და სიარულს უშლის.

ექიმების რჩევით და (მინაურულის ცდით) ფეხების ცივს წყალში ბანვა და ხშირად გამოცვლა წინდებისა მხოლოდ ერთად-ერთი საშუალებაა ამ სენის წინაამდეგ. მაგრამ ეხლა, როგორც ჩვენ თვითონაც გამოვცადეთ, უკეთესი და უადვილესი საშუალება აღარ შეიძლება წინაამდეგ ამისა, როგორც ასაშრობი ქაღალდია (Промакательная бумага). ან სქელი ფურცელი ასაშრობ ქაღალდისა უნდა ჩაიგონ წინდაში ან ორ სამ კეცად თხელ რვეულებში სახმარი ასაშრობი და პარველს ცდაზედვე სულ დაავიწყდებათ ხსენებული კაცის შემაწუხებელი სენი.

შავი აბრეშუმის გაწმენდა. შავი აბრეშუმის ტანისამოსი ძალიან კარგად იწმინდება ყავით. ტანისამოსი, რომლის გაწმენდაც გინდათ, ჯერ უნდა კარგათ გაჰბერტყოთ, მერე მაგრა გასწმინდოთ მალის ნაჭრით, ამის შემდეგ გაჭიმეთ სტოლზე და მაგრა წაუსვით ხელი, შავი ყავა — ცხელ წყალში დასველებული დრუბლით — მარცხენიდან მარჯვნივ, როცა გაშრება, მაშინ გააუთოვედ — მარჯვნიდან მარცხნივ. ყავას აბრეშუმიდან. ამოჰქავს უოვალ გვარი ლაქა და ახლის ფერს და შნოსაც აძლევს.



# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

22 ივნისი

**პეტერბურგი** უმაღლესი რესკრიპტი ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორისადმი.

18 მაისს თქვენ მიერ სეიმის დახურვის დროს, წოდებათა წარმომადგენლებისაგან ჩემამდე ამ აძბავმა მიახწია იმათ აღელვებულ მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოუწვევია ფინლიანდიის დიდ სამთავროში საიმპერიო ზეგოის შესახებ ცვლილების შემოღებას და მიმდინარე წლის 3 თებერვლის მანიფესტს. ჩემდა სამწუხაროდ, ლანდმარშალისა და ტალმანების სიტყვებიდგან მე ვხედავ, რომ მოხელეთ ვერ შეუგნიათ მოსაზრებანი სახელმწიფოს საერთო სარგებლობის შესახებ, რამაც გამოიწვია ეს ღონისძიებანი, და თავის თავისთვის ნება მიუციათ ამ საგნის შესახებ შეუფერებელი სიტყვები ელაპარაკნათ. მე თქვენთვის მომინდვია საყოველთაოდ გამოაცხადოთ, რომ ის მსჯელობა სწორი არ არის და არ ეთანხმება ამ საუკუნის დამდეგიდგან დადგენილს საქმის ვითარებას, რომლითაც ფინლიანდია რუსეთის სახელმწიფოსაგან განუშორებელ მისსავე ნაწილად ითვლება. აგრეთვე მე მსურს იცნოს ფინლიანდიის ერმა, რომ ტახტზედ ასვლის დროს მივიღე რა წმინდა მოვალეობა ვიზრუნო ყველა ხალხის კეთილდღეობისათვის, რომელნიც რუსეთის სახელმწიფოს ექვემდებარებიან, საკეთილოდ მივიჩნიე დამენარჩუნებინა ფინლიანდიაში განსაკუთრებული წესი შინაგან კანონმდებლობისა, რომელიც ნაბოძები ჰქონდა მას ჩემის გვირგვინ... წინაპარებისაგან. იმავე დრო... მივიღე ჩემს თავზე, როგორც ძველი დროის ნაანდერძევი, შრომა გამესაზღვრა, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა დიდ სამთავროს რუსეთის იმპერიასთან. ამის გამო ჩემ მიერ დამტკიცებულ იქმნა მიმდინარე წლის 3 თებერვალს დებულებანი, რომელნიც უჩვენებს წეს-რიგს მთლად სახელმწიფოსთვის კანონების გამოცემის შესახებ. მე იმედი მაქვს, რომ უქვეშევრდომილესი მონდობა ფინლიანდიის ერისა, რაშიაც ეჭვი არა მაქვს, საქმით დამტკიცდება და გაგიადვილებს თქვენ ჩემის წინასწარ განზრახულების შესრულებას.

**ჯიბუტი.** ლეონტიევს დიდი ბედი ეწვია. ის საქვეყნოდ გამოცხადებულ იქმნა ეკვატორიის პროვინციების გუბერნატორად.

**მადრიდი.** ხალხის რამდენიმე გროვა ბარცელონაში დალამებისას ქვებს ესროდა დუქნებს. ორ მღვდელს შეურაცხება მიაყენეს. ჟანდარმებმა წესიერება აღადგინეს. ალიკანტეში დაბალი ხალხი ქვებს ესროდა დუქნებს, რომლებიც ღია იყო და გადასწვა კანტორები, სადაც ქალაქის ბაჟს ჰკრეფდნენ. ვალენსიანში ცხენოსანმა ჯარმა გაჰფანტა ბრბო. ღამით წესიერება იყო. სარაგოსში ხალხის მღელვარება საეჭვოდ ხდის წესიერების დაურღვევლობას.

**პარიზი.** საბიუჯეტო კომისიამ თავის ბიუროში წინანდელივე წევრები აირჩია და შემდეგ სხვა და სხვა საქმის მომხსენებლები დანიშნა. ბუდეპო დანიშნულია საქმის მომხსენებლად, პელენტნის ნაცვლად, რომელიც სამხედრო ბიუჯეტის მომხსენებლად აირჩიეს.

23 ივნისი

**პეტერბურგი.** კვირისთვის, 27 ივნისისათვის დანიშნულია მონათვლა ახლად დაბადებულის დიდის მთავრინისა. ნათლობა მოხდება პეტერგოფის სასახლეში.

**პარიზი.** სენატმა შეიწყნარა პროექტი ოთხის გარდასახადის შესახებ.

**მოსკოვი.** ხელოსანთა საზოგადოებამ დაადგინა დიდის მთავრინას მარიამ ნიკოლოოზის ასულის დაბადების სახსოვრად, აღარ გამოართვას 25 ათასი მანეთი ძველი გარდასახადი ღარიბ ხელოსანთ

**მადრიდი.** მთელს ესპანია... მშვიდობიანობაა. მთავრობამ ... დ... ...ა მ...

...00

...ემდეგ ...ომენტო ...ესახებ.

**подписная цѣна на газету**

# „СВѢТЪ“

## СЪ „СПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

**съ пересылкою и доставкою:**

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . .
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . .
« 1 іюля по 1 октября . . . . . . . . **2 р.**
« 1 октября по 31 декабря . . . . . .

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . . . **4 —**

**На девять мѣсяцевъ:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . . . **6 —**

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . . . . . **8 —**

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.**

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**



ვ. ზუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.



სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



# ქეფირი და კუმისი




ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ო. კორონასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—34) ო. კორონა.



# ᲠᲣᲡᲘᲐ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ **„РОССІЯ“**

| | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія» (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ - по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ своими заявленями въ С.-Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреѣсса уплаиивается 40 коп. Отдельные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

**ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:**

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 коп позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ по полудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 10 часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно отъ 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ, автора, безъ чего онѣ печатаемы не будутъ. Статьи, доставляемы безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

**ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:**

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: Г. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А В. Амфитеатровъ.
3 Научнымъ: профессоръ П. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраньымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. ...ловьевъ и Я. А. ...йнъ.
...
9) ...
Голо...
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В А. Гиляровскій.
Общественный фельетонъ—по воскресеньямъ— Old Gentleman.
Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.
По средамъ печатается «Милліонеръ» повѣсть В Г. Авсѣенко.
Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.
Корреспондентъ въ спеціальной командировкѣ по недородным мѣстностямъ: Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ)
Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, ...офій, Константинополѣ, Одессѣ и т. п.

(8—7)



სტამბა 648. ორთქლით მომუშავე სტამბა ტელეფონი 648.

ექვთიმე ი. ხელაძისა

ლორის-მელიქ. ქუჩა № 64, ქაშვეთის ეკკლ. ახალ შენობაში.

(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომბეჭდავი ძალიან დიდი მანქანა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-სასხმელ ქარხნიდამ (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მოწყობილი არის შესანიშნავი დახელოვნებული ოსტატები, კისრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველგვარ ქართულ, რუსულ და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწდომ ფასად. ტფილისის გარეშე შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით:

Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—



# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торгов... мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ уч... заведеніи**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе ... часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго м...

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго нача...**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ...тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на ... 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, ...говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи ...ачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазина... автора: Михайловская ул., № 71.** (100—